

შპს „აკადემოსი“ ფინანსური
ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერის
დასრულებული წლისთვის

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2. საქმიანობის შედეგები;
3. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება;
4. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები:
 - ა) ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია;
 - ბ) ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა;

4. სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ა) ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია:

შპს „აკადემოსი“ რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2008 წლის 30 დეკემბერს სახელწოდებით შპს „ეთი“, 2011 წლის 5 მაისს ორგანიზაციას შეეცვალა სახელწოდება და მიენიჭა სახელი შპს „კაი ყმა“, ხოლო 2019 წლის პირველ მაისს -- შპს „აკადემოსი“. საიდენტიფიკაციო ნომერი- 202061295, მისამართი - ქ.თბილისი, დილმის მასივი; ტერევერკოს 24. არ ვართ დღგ-ს გადამხდელი.

კომპანიის 100% -ის დამფუძნებელია შპს „აკადემოსის“ დამფუძნებლები. კომპანიას ჰყავს დირექტორი -- თამარ ჩანტლაძე, რომელიც ერთ-ერთი დამფუძნებელია და მეორე დამფუძნებელი -- გელა ბენდიანიშვილი, რომლებიც წარმოადგენენ უფლებამოსილ პირებს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: ზოგადი, საბაზო და საშუალო განათლება.

ბ) ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

ბ.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე:

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ბ.2 მომზადების საფუძველი:

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღურებულების პრინციპზე დაყრდნობით. მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, გარდა ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციისა. კომპანიას გააჩნია საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს. ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ერთი კომპანიის ფინანსური ანგარიშგებას. საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღია: 31.12.2020 და ის მოიცავს 2018, 2019 და 2020 წელს. დაცულია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები და ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები. ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის გამოყენებით მიღწეულია ფინანსური მდგომარეობის საქმიანობის ფინანსური შედეგების და ფულადი სახსრების მოძრაობის სამართლიანი წარდგენა.

ბ.3 საოპერაციო ანგარიშგების ვალუტა:

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია.

ბ.4 გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველია მსს-ის ძირითადი დაშვებები - დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო. ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც კომპანიას მოუწევს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალში.

მარაგები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულების თანხით. ძირითადი საშუალება აღიარდება და შემოსავალში აიღება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებები მოიცავს: მიწას; შენობას; ავტომანქანას; ელექტრო და კომპიუტერული დანადგარებს; საოფისე მოწყობილობებს; ავეჯს და სხვა ინვენტარს. კომპანია ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯის გაანგარიშებას ახორციელებს წრფივი მეთოდით.

ბ.5 საგადასახადო ვალდებულებები:

საგადასახადო ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც კომპანიას მოუწევს. კანონმდებლობის ცვლილების შესაბამისად

«ესტონურ მოდელზე» გადასვლის შემდეგ, კომპანიას მოგების გადასახადის დარიცხვის და გადახდის ვალდებულება წარმოეშვა არა მოგების მიღების მომენტში, არამედ ამ მოგების განაწილების დროს: მოგების გადასახადის გადახდა ხდება დივიდენდის გაცემის შემთხვევაში და ასევე კოდექსით განსაზღვრულ მოგების გადასახადით დასაბეგრ ოპერაციებზე.

ბ.6 სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები:

სესხი აღებულია ევროში კურსით ლარში ფინანსური ინსტიტუტებიდან შენობის აშენებისთვის, კომპანიის მიერ საბრუნავი საშუალებების შესაძენად და მომწოდებლებთან დროული ანგარიშსწორებისთვის. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულია ძალიან დიდი დანახარჯებია ბოლო 5 წლის განმავლობაში კომპანიამ განიცადა ძალიან დიდი ზარალი კურსთა შორის სხვაობის გამო. ყველა დანახარჯები აღიარდება 'მოგებისა და ზარალის' და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში' საანგარიშო წლის ბოლოს კურსთა შორის ცვლილების და საპროცენტო ხარჯების გათვალისწინებით.

ბ.7 ამონაგები:

ჩვენი საწარმოთვის ძირითადი შემოსავალი განიხილება როგორც ამონაგები მოსწავლეებიდან მიღებული გადასახადებისგან. ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელი აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში

ბ.8 ხარჯები:

ხარჯები აღიარდება იმ პერიოდში რომელშიც მოხდა მათი განწევა ანუ დარიცხვის მეთოდით. ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები ხელფასები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები ექვემდებარება დარიცხვას ყოველი თვის ბოლოს. ანაზღაურება ხელშეკრულების მიხედვით ხდება მომდევნო თვის 10 რიცხვამდე. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება.

ბ.9 საკუთარი კაპიტალი

ა) კურსთაშორის დიდი ცვლილების გამო ხშირად ხარჯი აჭარბებს შემოსავალს, რის გამოც ხდება დამფუძნებლების მიერ თანხის შემოტანა და შემდგომ დაბრუნება, რაც იწვევს საკუთარ კაპიტალში ცვლილებებს.

ბ) საწესდებო კაპიტალი:

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2000 (ორიათას ლარს) (გ) დივიდენდები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არ განაწილებულა ბარალიდან გამომდინარე შეუძლებელია დივიდენდის განაწილება.

დასკვნა: მიუხედავად კომპანიის უარყოფითი შედეგებისა, რომელიც გამოწვეულია სასესხო ვალდებულებების და კურსთა შორის სხვაობის ძალიან დიდი ხარჯით შპს „აკადემოსი“ არის ფუნქციონირებადი საწარმო.

დირექტორი

ა. ჩანტლაძე

/თ. ჩანტლაძე/

ფინანსური მენეჯერი *ნ. ჯანაშვილი-ბრეგაძე* /ნ. ჯანაშვილი-ბრეგაძე/



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	24864	24582	22329
საფაქრო და სხვა მოთხოვნები	20604	18831	14057
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	0
მარაგები	71061	17923	7353
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	71061	17923	7353
საინვესტიციო ქონება	117265	117265	117265
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	570573	631899	575982
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა სანარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	242133	245012	293187
სულ აქტივები	1046500	1055512	1030173
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
საფაქრო ვალდებულებები	1165	1310	954
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	18302	6504	19235
საგადასახადო ვალდებულებები	5074	6152	4423
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1467105	1251461	1143101
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	2535	15275	11759
სულ ვალდებულებები	1494181	1280702	1179472
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2000	2000	2000
საემისიო შემოსავალი	5620	5620	5620
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-455301	-232810	-225920
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	69001
სულ საკუთარი კაპიტალი	-447681	-225190	-149299
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1046500	1055512	1030173
სულ მოკლევადიანი აქტივები	71061	44401	28089
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	27076	29241	36371

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	372215	399271
საქონლის გაყიდვიდან	372215	396571
მომსახურების განწვიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	2700
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	7353
მარაგების შესყიდვა	0	7353
გადაშუაგების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	372215	399271
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-270670	-234559
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-13355	-24520
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-39745	-63694
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-9340	-6749
სულ საოპერაციო ხარჯები	-333110	-329522
საოპერაციო მოგება	39105	69749
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-261596	-106348
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-222491	-36599
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-222491	-36599
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-222491	-36599
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-225190	-149299
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	-39292
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-447681	-225190

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	282	2253
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	282	2253
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	24582	22329
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	24864	24582